



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი:

29.08-07.09.2022

დასკვნის წარდგენის თარიღი:

6.10.2022წ

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	206046045
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სამართალი
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სამართლის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	სამართალი, 0421
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 7 დეკემბრის №200 გადაწყვეტილება

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მკვა კარტოზია, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ზვიად როგავა, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“ ან „უსდ“) სამართლის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება: I. თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსების (30 ECTS), II. ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების/მოდულების (155 ECTS), III. ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების/მოდულების (45 ECTS) და IV. თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსებისგან (10 ECTS).

ამჟამად უსდ-ში სამართლის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება და იგი აკრედიტირებულია 7 წლის ვადით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 7 დეკემბრის №200 გადაწყვეტილებით.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

„აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიმდინარე წლის 26 აგვისტოს №952994 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით.

უსდ-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე არაგეგმიურმა მონიტორინგმა მოიცვა პირველი, მე-2 და მე-4.1 სტანდარტები.

▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სამართალს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირველ, მე-2 და 4.1-ე სტანდარტებთან, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“, ასევე სამართლის დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობის შემოწმებისას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამა, მისი კომპონენტები და განხორციელების პროცედურები შეფასებული იქნა შემდგენიარად:

#	სტანდარტი	შეფასება
1	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია სტანდარტთან
2	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია სტანდარტთან
3	სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	არ შეფასებულა
4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია სტანდარტთან
5	სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	არ შეფასებულა

▪ რეკომენდაციები

1.2. სტანდარტთან მიმართებით

- იმისათვის, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება იყოს ვალიდური, სანდო და გამჭვირვალე რეკომენდებულია:
 - ✓ პროგრამის სწავლის შედეგები შეფასდეს იმ სასწავლო კურს(ებ)ში, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)ის განმტკიცება;
 - ✓ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას უსდ-მ გამოიყენოს იმ კონკრეტული დავალების შედეგი (ეს შეიძლება იყოს ტესტი, გამოცდა, ესე, იმიტირებული პროცესი, პრაქტიკული დავალება, პროფესიული პრაქტიკისას მენტორის მიერ სტუდენტის შეფასება და ა.შ), რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგს და აღნიშნულ დავალებასთან მიმართებით დაადგინოს სამიზნე ნიშნული;
 - ✓ უსდ-მ შეიმუშავოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელშიც პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის გარდა აისახოს თუ რომელი დავალებით, როდის, ვის მიერ, სტუდენტთა რა რაოდენობაზე შეფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი და განისაზღვროს სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა.

2.4. სტანდარტთან მიმართებით

- რეკომენდებულია, უსდ-ის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებთან (დამსაქმებლებთან) დადებული ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტი დეტალურად აღწერდეს როგორც მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, ასევე, პრაქტიკის ობიექტზე მისაღებ სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას, პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებისა და სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნათა შესაბამისად.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

2.3. სტანდარტთან მიმართებით

- მიუხედავად იმისა, რომ მე-5-მე-8 სასწავლო სემესტრების ფარგლებში შეთავაზებული რიგი სასწავლო კურსების სავალდებულო სასწავლო რესურსებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინგლისურენოვანი ლიტერატურით სწავლებას (მაგალითად, სასწავლო კურსები „საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი“, „ევროკავშირის სამართალი“, „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართალი“), საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს ინგლისურ ენაზე შეეთავაზოთ თუნდაც არჩევითი სასწავლო კურსები.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული რეკომენდაციების და რჩევების გაცნობის შემდეგ შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, მათი მხრიდან რეკომენდაციები და რჩევები გაზიარებულია და მიმდინარეობის მათი შესრულების პროცესი.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შემუშავებულია შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მისიის, მიზნების, სტრატეგიული განვითარების გეგმის, ასევე, სამართლის დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში ასახულია, თუ რა ცოდნის მქონე კურსდამთავრებულს მოამზადებს პროგრამა. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს ფართო თეორიული ცოდნა სამართლის არსის, სისტემის, ძირითადი პრინციპების, სამართლებრივი სისტემების, ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, ქართული სამართლის ისტორიული წყაროების, იურისტის (მოსამართლის, ადვოკატის, პროკურორის, ნოტარიუსის) საქმიანობის ეთიკური პრინციპების, ამ პროფესიების წარმომადგენლების სამსახურებრივი და არასამსახურებრივი საქმიანობის მორალური სტანდარტების, ასევე სიღრმისეული ცოდნა კერძო, სისხლის და საჯარო სამართლის სფეროების ძირითადი თეორიების, პრინციპებისა და მოწესრიგების თავისებურებების შესახებ.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ასევე ასახავს, თუ რა უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი. კერძოდ, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებია სტუდენტს:

- გამოუმუშავოს კერძო სისხლის და საჯარო სამართლის სფეროში არსებული რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების ანალიზის, მათი გადაწყვეტის შესაბამისი მიდგომების განვითარების, ასევე საკუთარი სამართლებრივი დასკვნების თაობაზე იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერილი ფორმით კომუნიკაციის უნარი;
- გამოუმუშავოს სამართლის ნორმების, წყაროების, მეთოდების ანალიზის, საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, მათი შეფასების, სამართლებრივ დავაში

<p>პოზიციების დასაბუთების, კონკრეტული იურიდიული მოქმედებების განხორციელების, სამართლებრივ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისა და დასაბუთების უნარი;</p> <ul style="list-style-type: none"> • გამოუმუშავოს დავის გადაწყვეტის სტრატეგიისა და ტაქტიკის, იურიდიული ხასიათის დოკუმენტების, ასევე წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად კერძო, სისხლის და საჯარო სამართლის სფეროში კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტების შემუშავების უნარი; • გამოუმუშავოს იურისტის ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების ფარგლებში მოქმედების, ასევე შესაბამისი სამართალწარმოების პროცესში სამართლებრივი ღირებულებების გათვალისწინებით მოქმედების უნარი; • გამოუმუშავოს ქართულ ან/და ინგლისურ ენებზე საჭირო ინფორმაციის, მათ შორის საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მოძიების, გამორჩევის და საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარი. <p>ამრიგად, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, პროგრამის შინაარსის, გამოყენებული სწავლების მეთოდოლოგიისა და არსებული აკადემიური რესურსების გათვალისწინებით, ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტურია, მიღწევადია და ასახავს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა.</p> <p>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. იგი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები; ○ უსდ-ის მისია http://www.thu.edu.ge/ka/content/66/310/0/0/0 ; ○ უსდ-ის სტრატეგიული განვითარების გეგმა 2019-2025 http://www.thu.edu.ge/ka/content/66/332/0/0/0 ; ○ უსდ-ის ვებგვერდი http://www.thu.edu.ge/ka/content/69/347/434/0/0/0 .
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია ნათლად ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები, რომლებიც შეესაბამება პროგრამის მიზნებს, რაც ასახულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკაზე (დანართი N4).

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას (სამართლის ბაკალავრი) და სწავლების საბაკალავრო საფეხურს. პროგრამის სწავლის შედეგები ეყრდნობა ასევე კვალიფიკაციების ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს.

პროგრამის სწავლის შედეგები ასახავს იმ **ცოდნას**, რომლებიც სამართლის ბაკალავრს უნდა გააჩნდეს საბაკალავრო პროგრამის დასრულებისას. სამართლის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი აღწერს:

- სამართლის არსს, სამართლის ნიშნებს, სამართლის ფუნქციებს, სამართლებრივი მოწესრიგების მეთოდებსა და სტადიებს, სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს, განმარტების მეთოდებს, სამართლის ნორმის სახეებს, ქართული სამართლის სისტემის ძირითად თავისებურებებს, პრინციპებსა და ინსტიტუტებს, სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტებს, სამართლის ნორმის შეფარდების სტადიებს, ქართული სამართლის ისტორიულ წყაროებს, ძველი ქართული სამართლის დარგებსა და ინსტიტუტებს, ძველი ქართული სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებსა და სამართალგანვითარების ტენდენციებს, ასევე რომის სამართლის ძირითად ინსტიტუტებსა და კატეგორიებს;
- სახელმწიფო მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის, მათ შორის საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის

გამიჯვნისა და ურთიერთმიმართების საკითხებს, კონსტიტუციური სამართალწარმოების თავისებურებებს, ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, საერთაშორისო საჯარო სამართლის ძირითად პრინციპებს, საერთაშორისო საჯარო სამართლის ინსტიტუტებს, ადმინისტრაციული სამართლის არსსა და პრინციპებს, საჯარო მმართველობის არსს, ფუნქციებს, საჯარო მმართველობის ორგანიზაციული მოწყობის ფორმებს, ადმინისტრაციული წარმოების სახეებსა და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ფორმებს, ასევე ადმინისტრაციული სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებსა და სასამართლოში ადმინისტრაციული საქმის განხილვის თავისებურებებს;

- სამოქალაქო სამართლის მიზნებს, ამოცანებს, სამოქალაქო სამართლის წყაროებს, უმნიშვნელოვანეს ცივილისტურ კატეგორიებს, ცნებებსა და პრინციპებს, სანივთო სამართლის სისტემას და პრინციპებს, სახელმეკრულებო და კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებს, საოჯახო და მემკვიდრეობით სამართლებრივ ურთიერთობებს, შრომის სამართლის ძირითად პრინციპებს, სამეწარმეო სამართლის პრინციპებს, ასევე სამოქალაქო სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებსა და სასამართლოში სამოქალაქო საქმის განხილვის თავისებურებებს;
- დანაშაულის არსს, სახეებს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებებს, ასევე სისხლის სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებსა და სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის თავისებურებებს;
- იურისტის (მოსამართლის, ადვოკატის, პროკურორის, ნოტარიუსის) საქმიანობის ეთიკურ პრინციპებს, ასევე ამ პროფესიების წარმომადგენლების სამსახურებრივი და არასამსახურებრივი საქმიანობის მორალურ სტანდარტებს.

პროგრამის სწავლის შედეგები ასახავს იმ **უნარებს**, რომლებიც სამართლის ბაკალავრს უნდა გააჩნდეს საბაკალავრო პროგრამის დასრულებისას. სამართლის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- აანალიზებს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში არსებულ რთულ და გაუთვალისწინებელ პრობლემებს, სამართლის მეთოდების გამოყენებით შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის გზებს და იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ასაბუთებს საკუთარ პოზიციებს/დასკვნებს ზეპირი და წერილობითი ფორმით;
- არჩევს, აანალიზებს და იყენებს შესაბამის მატერიალურ და საპროცესო ნორმებს, წყაროებს, მეთოდებს საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, მათი შეფასების, სამართლებრივ დავაში პოზიციების დასაბუთების, კონკრეტული იურიდიული მოქმედებების განხორციელების ან სხვა იურიდიული ამოცანის გადაწყვეტის მიზნით;
- შეიმუშავებს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში კვლევითი ან/და პრაქტიკული ხასიათის პროექტებს, მათ შორის საბაკალავრო ნაშრომს, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
- შეიმუშავებს საკონსტიტუციო, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის სფეროში საპროცესო დოკუმენტების, ინდივიდუალური და ნორმატიული ადმინისტრაციული აქტების, კერძოსამართლებრივი და ადმინისტრაციული ხელმეკრულებების, სხვა სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტების პროექტებს, ასევე

დავის გადაწყვეტის სტრატეგიასა და ტაქტიკას, დავის გადაწყვეტის კანონიერი საშუალებებისა და ეთიკის ნორმების გათვალისწინებით.

პროგრამის სწავლის შედეგები ასევე ასახავს იმ **პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას**, რომლებიც სამართლის ბაკალავრს უნდა გააჩნდეს საბაკალავრო პროგრამის დასრულებისას. სამართლის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- იცავს იურისტის ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმებს, საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის წარმოების პროცესში მოქმედებს სამართლებრივი ღირებულებების, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით;
- მოიძიებს და გამოარჩევს ქართულ ან/და ინგლისურ ენებზე საჭირო ინფორმაციას, მათ შორის ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროებს, საკანონმდებლო ცვლილებებს, სასამართლო პრაქტიკას, სამეცნიერო სიახლეებს, რითაც ავლენს საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარს.

პროგრამის სწავლის შედეგებში გათვალისწინებულია ის ცოდნა, ძირითადი უნარები და კომპეტენციები, რომელთა განვითარებასაც ემსახურება პროგრამაში ჩართული თითოეული სასწავლო კურსი.

პროგრამის სწავლის შედეგები მიღწევადი, რეალისტური და გაზომვადია (რაც მათ შეფასებას გულისხმობს). პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით, მათი ფორმულირებისას უსდ ხელმძღვანელობს შემდეგი ფორმულით: საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებული + მოქმედების გამომხატველი ზმნა + რა ეცოდინება, რა უნარები ექნება, რა ემოციური ცვლილება მოხდება მასში.

პროგრამის გააჩნია 7 სწავლის შედეგი. სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას გამოყენებულია ბლუმის განახლებული ტაქსონომია და შესაბამისი ზმნები, რითაც მარტივდება სწავლის შედეგების შეფასება.

უსდ-ის მიერ შემუშავებულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც თან ერთვის პროგრამას (იხ. დანართი 6). ამასთან, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს თან ერთვის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და სამიზნე ნიშნულები.

სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის თანახმად, სწავლის შედეგების შეფასება ეყრდნობა სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემასა და აკადემიური მოსწრების ანალიზს. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემა უზრუნველყოფს დადებითი შეფასების მქონე სტუდენტების რაწიერებას მიღებული ქულების მიხედვით, ხოლო აკადემიური მოსწრების ანალიზისთვის გამოიყენება

სტუდენტის აკადემიური მოსწრების (შეფასების) სამიზნე ნიშნულები - ECTS-ის შეფასების (რანჟირების) სკალა, რომლის თანახმად, გამოცდა ჩაბარებულ სტუდენტთა სამიზნე ნიშნულებია: A შეფასება - 10% , B შეფასება - მომდევნო 25%, C შეფასება - მომდევნო 30%, D შეფასება - მომდევნო 25% და ბოლოს E შეფასება - 10%.

ნორმალური განაწილების დიაპაზონიდან 15%-იანი გადახრის შემთხვევაში გადაიხედება სწავლის შედეგები და სწავლის შედეგების მიღწევის მექანიზმი.

სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის ანალიზით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სწავლის შედეგების შეფასებაში მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი, ხოლო სამიზნე ნიშნულები დადგენილია სასწავლო კურსში მიღებულ საბოლოო შეფასებასთან მიმართებაში, რაც ვერ ჩაითვლება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებად, რადგან სასწავლო კურსის ქულა მოიცავს და აფასებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღმა ბევრ სხვა უნარსა და ცოდნასაც.

იმისათვის, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება იყოს ვალიდური, სანდო და გამჭვირვალე რეკომენდებულია:

- ✓ პროგრამის სწავლის შედეგები შეფასდეს იმ სასწავლო კურს(ებ)ში, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)ის განმტკიცება;
- ✓ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას უსდ-მ გამოიყენოს იმ კონკრეტული დავალების (ეს შეიძლება იყოს ტესტი, გამოცდა, ესე, იმიტირებული პროცესი, პრაქტიკული დავალება, პროფესიული პრაქტიკისას მენტორის მიერ სტუდენტის შეფასება და ა.შ) შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგს და აღნიშნულ დავალებებთან მიმართებაში დაადგინოს სამიზნე ნიშნულები;
- ✓ უსდ-მ შეიმუშავოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელშიც პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის გარდა აისახოს თუ რომელი დავალებით, როდის, ვის მიერ, სტუდენტთა რა რაოდენობაზე შეფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი და განისაზღვროს სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები;
- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და შედეგების რუკა;
- უსდ-ის მიერ შემუშავებული სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- უსდ-ის ვებგვერდი <http://www.thu.edu.ge/ka>

რეკომენდაციები:

- იმისათვის, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება იყოს ვალიდური, სანდო და გამჭვირვალე რეკომენდებულია:

- ✓ პროგრამის სწავლის შედეგები შეფასდეს იმ სასწავლო კურს(ებ)ში, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)ის განმტკიცება;
- ✓ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას უსდ-მ გამოიყენოს იმ კონკრეტული დავალების შედეგი (ეს შეიძლება იყოს ტესტი, გამოცდა, ესე, იმიტირებული პროცესი, პრაქტიკული დავალება, პროფესიული პრაქტიკისას მენტორის მიერ სტუდენტის შეფასება და ა.შ), რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგს და აღნიშნულ დავალებასთან მიმართებით დაადგინოს სამიზნე ნიშნული;
- ✓ უსდ-მ შეიმუშავოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელშიც პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის გარდა აისახოს თუ რომელი დავალებით, როდის, ვის მიერ, სტუდენტთა რა რაოდენობაზე შეფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი და განისაზღვროს სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობების განსაზღვრისას გათვალისწინებულია საბაკალავრო საფეხურისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები და პროგრამის სპეციფიკა.

სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, რომელსაც აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად ჩაბარული აქვს ინგლისური ენა.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად აბიტურიენტისთვის მესამე სავალდებულო-არჩევით საგანად განსაზღვრულია გამოცდა ისტორიაში ან სამოქალაქო განათლებაში.

სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლის უფლების მოპოვება ხდება უნივერსიტეტში ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და რექტორის ბრძანების საფუძველზე.

აბიტურიენტთა რეგისტრაციის ვადები, ასევე მობილობის ვადები და წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა (სრული ზოგადი განათლების მქონე პირი) პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვასთან დაკავშირებული პროცედურები აღწერილია თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესშიც, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორის პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. იგი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს როგორც პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, ასევე მის შინაარსობრივ მხარეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;
- თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
<http://www.thu.edu.ge/img/dxp/saswavlo-procesis-maregulirebeli-wesi---60f591f41807c.pdf> ;
- პროგრამაზე დაშვების შესახებ ინფორმაცია გავრცელებულია უსდ-ის ვებგვერდის მეშვეობით <http://www.thu.edu.ge/ka/content/69/347/434/0/0/0> .

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის „აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგიისა და შეფასების მექანიზმი“-ს შესაბამისად, რომელიც არეგულირებს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების, მასში ცვლილებების განხორციელების, გაუქმების პროცედურებს, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მექანიზმებს.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, პროგრამის მიზნებს, სწავლის შედეგებს, პროგრამის მოცულობას, პროგრამის სტრუქტურას, სწავლება-სწავლის მეთოდებს, სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემას, დასაქმების სფეროებს, სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებს, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს.

პროგრამას თან ერთვის სასწავლო გეგმა (დანართი 1), სასწავლო გეგმის სარეკომენდაციო სემესტრული განაწილება (დანართი 2), კურსკულუმის რუკა (დანართი 3), პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა (დანართი 4), პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი (დანართი 5), სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, მათ შორის, სამართლის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები (დანართი

6).

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტზე და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელი ანუ 8 სემესტრია.

სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას და მოიცავს ლექციებს, პრაქტიკულ/ჯგუფურ მუშაობას, ასევე შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადება-ჩაბარებას.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება: I. თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსების (30 ECTS), II. ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების/მოდულების (155 ECTS), III. ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების/მოდულების (45 ECTS) და IV. თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსებისგან (10 ECTS).

I. თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები (30 ECTS)

თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები შედგება ზოგადსავალდებულო სასწავლო კურსებისა (10 ECTS) და ინგლისური ენის სასწავლო კურსებისგან (20 ECTS).

1.1. ზოგადსავალდებულო სასწავლო კურსები

ზოგადსავალდებულო სასწავლო კურსების საფუძველზე სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი იღებს იმ ზოგადტრანსფერულ უნარებს, რომლებსაც წარმატებით გამოიყენებს საკუთარი სპეციალობის ათვისების პროცესში. ზოგადსავალდებულო სავალდებულო სასწავლო კურსები ორიენტირებულია სტუდენტთა წერითი და ზეპირი კომუნიკაციური უნარების განვითარებაზე და ინფორმაციის მოძიება-გადაცემის მიზნით საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარის გამომუშავებაზე. ზოგადსავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 10 კრედიტი

1.2. ინგლისური ენის სასწავლო კურსები

ინგლისური ენის სასწავლო კურსები ორიენტირებულია ინგლისური ენის შესწავლაზე და ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის უნარის განვითარებაზე, ინგლისურენოვანი წყაროების სწავლისა და სწავლების პროცესში ფართოდ გამოყენებაზე, საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ელემენტის გაძლიერებაზე.

ინგლისური ენის შესწავლა სავალდებულოა არანაკლებ 20 კრედიტის მოცულობით, 4 სასწავლო სემესტრის განმავლობაში. ამასთან, მე-4 სასწავლო სემესტრის განმავლობაში სტუდენტი შეისწავლის სპეციალობისათვის რელევანტურ ინგლისურ ენას.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტისთვის, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის B2 ან უფრო მაღალ დონის ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს ან უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს (ატესტატი/დიპლომი), ინგლისური ენის კომპონენტიდან სავალდებულოა მხოლოდ 5 კრედიტის დაგროვება სპეციალობისათვის რელევანტური ინგლისური ენის ხარჯზე. ამ შემთხვევებში საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 240 კრედიტის დაგროვება ხდება სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების/მოდულების ან/და თავისუფალი კომპონენტის ხარჯზე.

II. ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები/მოდულები (155 ECTS)

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები/მოდულები შედგება სპეციალობის საბაზისო სასწავლო კურსების (15 ECTS), საჯარო სამართლის მოდულის სასწავლო კურსების (40 ECTS), კერძო სამართლის მოდულის სასწავლო კურსების (50 ECTS), სისხლის სამართლის მოდულის სასწავლო კურსების (25 ECTS) და ცოდნისა და უნარების განმამტკიცებელი სასწავლო კურსებისგან (25 ECTS).

2.1. სპეციალობის საბაზისო სასწავლო კურსები

სპეციალობის საბაზისო სასწავლო კურსები უყალიბებს სტუდენტს დარგობრივი დისციპლინების დაუფლებისათვის სამართლებრივი კატეგორიებით აზროვნების საწყის უნარებს, ასევე გამოუმუშავებს ძველი ქართული სამართლის წყაროების მოძიების, მათზე მუშაობის, საკითხის შეფასების, ანალიზის, მსჯელობის და დასაბუთების უნარებს. სპეციალობის საბაზისო სასწავლო კურსების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 15 კრედიტი.

2.2 საჯარო სამართლის მოდულის სასწავლო კურსები

საჯარო სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს შეიძინოს სიღრმისეული ცოდნა საჯარო სამართლის სფეროში. საჯარო სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 40 კრედიტი.

2.3. კერძო სამართლის მოდულის სასწავლო კურსები

კერძო სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს შეიძინოს სიღრმისეული ცოდნა კერძო სამართლის სფეროში. კერძო სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე სტუდენტმა უნდა

დააგროვოს 50 კრედიტი.

2.4. სისხლის სამართლის მოდულის სასწავლო კურსები

სისხლის სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს შეიძინოს სიღრმისეული ცოდნა სისხლის სამართლის სფეროში. სისხლის სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 25 კრედიტი.

2.5 ცოდნისა და უნარების განმამტკიცებელი სასწავლო კურსები

ცოდნისა და უნარების განმამტკიცებელი სავალდებულო სასწავლო კურსები/კომპონენტები საშუალებას აძლევს სტუდენტს განიმტკიცოს ცოდნა სამართლის სფეროში და გამოიმუშავოს პრაქტიკული და კვლევითი უნარები. ცოდნისა და უნარების განმამტკიცებელი სავალდებულო სასწავლო კურსების/კომპონენტების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 25 კრედიტი.

III. ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები/მოდულები (45 ECTS)

ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები/მოდულები შედგება სპეციალობის საბაზისო არჩევითი სასწავლო კურსების, საჯარო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების, საერთაშორისო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების, კერძო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების, სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების და ცოდნისა და უნარების განმამტკიცებელი არჩევითი სასწავლო კურსებისგან.

ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები/მოდულები საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და გაიღრმავოს ცოდნა სამართლის საფუძვლებისა და მეთოდების სფეროში ან საჯარო, კერძო, სისხლის ან საერთაშორისო სამართლის სფეროში ან განიმტკიცოს პრაქტიკული უნარები. ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების/მოდულების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 45 კრედიტი. ამასთან, ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების/მოდულების შემადგენლობაში შემავალი თითოეული კომპონენტიდან არანაკლებ 5 კრედიტი.

IV. თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები (10 ECTS)

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს, თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში, უფლება აქვს როგორც უნივერსიტეტის, ასევე სხვა ავტორიზებული უსდ-ის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებიდან, წინაპირობების დაცვით, თავისი ინტერესების შესაბამისად, აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურს(ებ)ი, მაგრამ არა უმეტეს 10 კრედიტისა.

ამასთან, სტუდენტს უფლება აქვს თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსებისათვის განკუთვნილი კრედიტების მოცულობა შეავსოს ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების/მოდულების ხარჯზე.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსები თანმიმდევრულად და სტრუქტურულად არის კონსტრუირებული. პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია. პროგრამაში შემავალ თითოეულ სასწავლო კურსზე დაშვება ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამით წინასწარ განსაზღვრული წინაპირობებით.

საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის შინაარსის პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, პროგრამას თან ახლავს კურიკულუმის რუკა, რომელშიც ასახულია, თუ რომელი სასწავლო კურსებითა თუ აქტივობებითა ვითარდება სტუდენტებში პროგრამის სწავლის შედეგები. კურიკულუმის რუკაში მითითებულია, თუ რა დონით ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს. მაგ.: 1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმტკიცება. ამასთან, პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი სამივე დონეზე ვითარდება.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სამართლის ბაკალავრი) შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

უსდ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. პროგრამის შესახებ ყველა ინფორმაცია ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული მხარისთვის. ამისათვის გამოყენებულია უნივერსიტეტის ვებგვერდი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის „აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია და შეფასების მექანიზმი“;
<http://www.thu.edu.ge/img/dxp/saganmanaTleblo-programis-dagegmvis-SemuSavebisa-daganviTarebis-meTodologia-da-Sefasebis-meqanizmi-60ed29ff1d52e.pdf>
- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა;
- უსდ-ის ვებგვერდი <http://www.thu.edu.ge/ka/content/69/347/434/0/0/>.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში მნიშვნელოვან ნაწილს სასწავლო კურსები წარმოადგენენ.

პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების მოცულობა წარმოადგენილია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) შესაბამისად, რომლის მიხედვით 1 კრედიტი 25 საათის ტოლია. სასწავლო კურსისთვის გათვალისწინებული კრედიტების მოცულობა კურსის ფარგლებში დაგეგმილი თემების, შესასრულებელი თეორიული, თუ პრაქტიკული დავალებების ადეკვატურია. სასწავლო კურსის შინაარსის სპეციფიკა, კურსის ფარგლებში შესასრულებელი დავალებების მოცულობა და სირთულე გათვალისწინებულია ასევე საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების განსაზღვრისას.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული ძირითადი სწავლის სფეროს თითოეული სავალდებულო სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს.

აღსანიშნავია, რომ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსებისა და არასპეციალობის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა ასევე შეესაბამება ამ სასწავლო კურსების სწავლის შედეგებს.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო

ჩარჩოს ბაკალავრიატის საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერს. მათი ერთობლიობა მიმართულია იმ ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შექმნა/განვითარებისკენ, რომლებიც სამართლის დარგობრივი მახასიათებლით სტუდენტს მოეთხოვება ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლის დასრულებისას.

სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდები (ლექცია, პრაქტიკული, სემინარი და სხვა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

უნდა აღინიშნოს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსით განსაზღვრული ყველა სწავლის შედეგი გაზომვადია, რაც გულისხმობს იმას, რომ სწავლის შედეგები შეფასებადია. სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების უზრუნველსაყოფად კურსის სილაბუსში განსაზღვრულია სტუდენტთა ცოდნის შეფასების შესაბამისი კომპონენტები და კრიტერიუმები, რომლებიც დეტალურადაა აღწერილი შეფასების რუბრიკაში. სასწავლო კურსის სილაბუსები შედგენილია უნივერსიტეტში არსებული ზოგადი ინსტრუქციებისა და რეგულაციების შესაბამისა

მიუხედავად იმისა, რომ მე-5-მე-8 სასწავლო სემესტრების ფარგლებში შეთავაზებული რიგი სასწავლო კურსების სავალდებულო სასწავლო რესურსებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინგლისურენოვანი ლიტერატურით სწავლებას (მაგალითად, სასწავლო კურსები „საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი“, „ევროკავშირის სამართალი“, „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართალი“), საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს ინგლისურ ენაზე შეეთავაზოთ სასწავლო კურსებიც.

სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებულია სავალდებულო და დამატებითი სასწავლო მასალა: ნორმატიული აქტები, სასამართლო გადაწყვეტილებები, სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, სტატიები, ავთენტური წყაროები, სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, ელექტრონულ რესურსები და სხვ. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა მთლიანობაში ეფუძნება სამართლის სფეროს აქტუალურ მიღწევებს, სამართლის დარგობრივ მახასიათებელს, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებულია სასწავლო კურსის სახელწოდება, სასწავლო კურსის განმახორციელებლები, კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება, სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები, სასწავლო კურსის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები, სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები, ძირითადი ლიტერატურა, დამხმარე ლიტერატურა და სხვა რესურსები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;

<ul style="list-style-type: none"> ○ სასწავლო კურსის სილაბუსები; ○ კურიკულუმის რუკა.
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მიუხედავად იმისა, რომ მე-5-მე-8 სასწავლო სემესტრების ფარგლებში შეთავაზებული რიგი სასწავლო კურსების სავალდებულო სასწავლო რესურსებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინგლისურენოვანი ლიტერატურით სწავლებას (მაგალითად, სასწავლო კურსები „საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი“, „ევროკავშირის სამართალი“, „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართალი“), საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს ინგლისურ ენაზე შეეთავაზოთ თუნდაც არჩევითი სასწავლო კურსები.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
<p>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, სწავლის შედეგების შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული უნარების გამომუშავებას.</p> <p>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკა წარმოდგენილია თეორიულ კურსებში ჩაშენებული პრაქტიკის, პროფესიული პრაქტიკის სავალდებულო კომპონენტის და პრაქტიკის არჩევითი სასწავლო კურსების სახით.</p>

საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკა, უპირველეს ყოვლისა, ჩაშენებულია თეორიულ კურსებში. ამ შემთხვევაში პრაქტიკა ფოკუსირებულია იმ თემატიკაზე, რომელსაც ითვისებენ შესაბამისი სასწავლო კურსის შინაარსი. პრაქტიკის აღნიშნული მოდელი მიზანია, თეორიული ცოდნისა და გამოცდილების მყისიერი ტრანსფერი პრაქტიკაში. პრაქტიკის აღნიშნული მოდელი გამჭოლად გასდევს პროგრამას და მას ინტენსიური ხასიათი აქვს. ასეთ სავალდებულო სასწავლო კურსებს განეკუთვნება:

- ადმინისტრაციული სამართალი (ადმინისტრაციული წარმოება) - სტუდენტი შეიმუშავებს ადმინისტრაციული საჩივის პროექტს, ასევე ადმინისტრაციულ ორგანოში დავის სტრატეგიასა და ტაქტიკას; სტუდენტი მონაწილეობს ადმინისტრაციულ წარმოებაში;
- „საკონსტიტუციო მართლმსაჯულება“ - სტუდენტი შეიმუშავებს იურიდიული შინაარსის დოკუმენტების (საკონსტიტუციო სარჩელი, გადაწყვეტილება და სხვა) პროექტებს, ასევე საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვისას საკუთარი პოზიციის სტრატეგიასა და ტაქტიკას; სტუდენტი მონაწილეობს საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში;
- „ადმინისტრაციული სამართლის პროცესი“ - სტუდენტი შეიმუშავებს იურიდიული შინაარსის დოკუმენტების (ადმინისტრაციული სარჩელი, გადაწყვეტილება, სააპელაციო და საკასაციო საჩივარი და სხვა) პროექტებს, ასევე ადმინისტრაციულ სამართალთა წარმოებისას საკუთარი პოზიციის სტრატეგიასა და ტაქტიკას; სტუდენტი მონაწილეობს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში;
- „სახელშეკრულებო სამართალი“ - სტუდენტი შეიმუშავებს ხელშეკრულებათა შედგენის მექანიზმს, არჩევს ხელშეკრულების ფორმასა და ტიპს, განსაზღვრავს ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მხარეთა უფლება-მოვალეობებს, პასუხისმგებლობას და სხვა საკითხებს;
- „სამოქალაქო სამართლის პროცესი - 1“ - სტუდენტი შეიმუშავებს ცალკეული საპროცესო დოკუმენტების პროექტებს;
- „სამოქალაქო სამართლის პროცესი - 2“ - სტუდენტი შეიმუშავებს საპროცესო დოკუმენტების (სარჩელი, საჩივარი, გადაწყვეტილება, სააპელაციო და საკასაციო საჩივარი და სხვა) პროექტებს, ასევე სამოქალაქო დავის გადაწყვეტის სტრატეგიასა და ტაქტიკას; სტუდენტი მონაწილეობს სამოქალაქო სამართალწარმოებაში;
- „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი“ - შეიმუშავებს საქორწინო ხელშეკრულების შინაარსს, განსაზღვრავს საქორწინო ხელშეკრულების პირობებსა და საქორწინო ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს;
- „შრომის სამართალი“ - შეიმუშავებს შრომითი ხელშეკრულების შედგენის მექანიზმს, განსაზღვრავს ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მხარეთა უფლება-მოვალეობებს, პასუხისმგებლობისა და სხვა საკითხებს;
- სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი) - სტუდენტი შეიმუშავებს ცალკეული საპროცესო დოკუმენტების პროექტებს;
- სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი) - სტუდენტი შეიმუშავებს საპროცესო დოკუმენტების პროექტებს; სტუდენტი მონაწილეობს სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვაში).

თეორიულ კურსებში ჩაშენებული პრაქტიკული კომპონენტების შესაფასებლად უსდ-ის მიერ გამოიყენება სილაბუსით გათვალისწინებული შეფასების ადეკვატური მეთოდები (პრაქტიკული დავალების შესრულება, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვა) და კრიტერიუმები.

პრაქტიკის კომპონენტი საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილია ასევე პროფესიული პრაქტიკის სავალდებულო კომპონენტისა და სამი დამოუკიდებელი არჩევითი სასწავლო კურსის სახით, საიდანაც სტუდენტი ირჩევს მხოლოდ ერთს. ასეთ სასწავლო კურსებს განეკუთვნება: „საჯარო სამართლის პრაქტიკული კურსი“ (5 ECTS), „კერძო სამართლის პრაქტიკული კურსი“ (5 ECTS) და „სისხლის სამართლის პრაქტიკული კურსი“ (5 ECTS). პრაქტიკის არჩევითი სასწავლო კურსები ორიენტირებულია საჯარო, კერძო ან სისხლის სამართლის მიმართულებით სტუდენტის პრაქტიკული უნარების განმტკიცება- განვითარებაზე

პროფესიული პრაქტიკა და პრაქტიკის არჩევითი სასწავლო კურსები სტუდენტებს შეეთავაზებათ პროგრამის დასკვნით ეტაპზე - მე-7-მე-8 სასწავლო სემესტრებში.

პროფესიული პრაქტიკა საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კომპონენტია (10 ECTS), სადაც სტუდენტი ახდენს თეორიულ კურსებში მიღებული ცოდნის, უნარების, გამოცდილების შეჯამებასა და მათ პრაქტიკულად განხორციელებას.

პროფესიული პრაქტიკის სილაბუსი დეტალურად აღწერს პრაქტიკის მიზანს, სწავლის შედეგებს, პროფესიული პრაქტიკის ფორმატს, სწავლება-სწავლის მეთოდებს, შეფასების სისტემას, მათ შორის შეფასების კრიტერიუმებს.

პროფესიული პრაქტიკის მიზანია სტუდენტს:

- მისცეს პრაქტიკაზე დაფუძნებული იურიდიული განათლება და გამოუმუშავოს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, რეალურ სამუშაო გარემოში მუშაობის გამოცდილების, თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული ასპექტების შერწყმის უნარი;
- გამოუმუშავოს საჯარო, კერძო ან სისხლის სამართლის სფეროში არსებული რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების ამოცნობის, მათი შეფასებისა და უახლესი მეთოდების გამოყენებით მათი გადაწყვეტის შესაბამისი გზების შემუშავების უნარი;
- გამოუმუშავოს სამართლებრივი დოკუმენტების შემუშავების, საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, მათი შეფასების, საკუთარი პოზიციების დასაბუთების, კონკრეტული იურიდიული მოქმედებების განხორციელების და სხვა იურიდიული ამოცანების გადაწყვეტის უნარი;
- გამოუმუშავოს გამართული კომუნიკაციის, არსებული სამართლებრივი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ზეპირი და წერიტი ფორმით არგუმენტირებული სამართლებრივი მსჯელობის უნარი;
- გამოუმუშავოს უახლესი ინფორმაციის მოძიების, შესრულებული სამუშაოს აღწერის, შედეგების განსაზღვრისა და ადეკვატური შეფასების უნარი.

- გამოუმუშავოს ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის ძირითადი პრინციპების დაცვით საკუთარი და სხვების განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვის, ასევე იურისტის ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების ფარგლებში მოქმედების უნარი;
- გამოუმუშავოს საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარი, „მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის“ პრინციპის დაცვით.

კლინიკური სწავლების პროცესი მიმდინარეობს საკონტაქტო (პრაქტიკული მუშაობა, კლინიკის ანგარიშის პრეზენტაცია) და დამოუკიდებელი მუშაობის (დაკვნითი გამოცდისათვის კლინიკური სწავლების ანგარიშის მომზადება) ფორმატით.

პროფესიული პრაქტიკის უფლება ეძლევა სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს, რომელსაც გავლილი აქვს იურიდიულ პროფესიათა ეთიკის სასწავლო კურსი.

საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად სტუდენტის პროფესიული პრაქტიკა შეიძლება განხორციელდეს სასამართლო ორგანოებში, აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში, იურიდიულ (საადვოკატო) ბიუროებში, კერძო სამართლის იურიდიული პირების იურიდიულ სამსახურებში, აგრეთვე იურიდიული პროფილის არასამეწარმეო (არაკომერციულ) ორგანიზაციებში.

პროფესიული პრაქტიკის საერთო კოორდინაციას ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული პრაქტიკის კოორდინატორი. პროფესიული პრაქტიკის კოორდინატორი:

- ეხმარება სტუდენტებს პროფესიული პრაქტიკის პროცესში წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში;
- ახორციელებს მონიტორინგს პროფესიული პრაქტიკის მიმდინარეობის პროცესზე.

პროფესიული პრაქტიკის განხორციელების მიზნით, მიმღები დაწესებულება გამოყოფს პრაქტიკის ხელმძღვანელს. პრაქტიკის ხელმძღვანელი ახორციელებს მიმღებ დაწესებულებაში სტუდენტთა საქმიანობის უშუალო ზედამხედველობას.

პროფესიული პრაქტიკის პროცესში სტუდენტი ვალდებულია:

- დაიცვას მიმღები დაწესებულების შიდაგანაწესი, უსაფრთხოებისა და ეთიკის ნორმები;
- შეასრულოს კონკრეტული სამუშაო პრაქტიკის ხელმძღვანელის მითითების შესაბამისად;
- აწარმოებს პრაქტიკული სწავლების დღიურს.

სტუდენტი ყოველდღიურად აღწერს შესრულებულ სამუშაოს პრაქტიკული სწავლების დღიურში და, პრაქტიკული სწავლების დასრულების შემდეგ, ადგენს ანგარიშს, რომლის პრეზენტაციასაც ახდენს საჯაროდ.

პრაქტიკული სწავლების პროცესში სტუდენტს შეუძლიათ ისარგებლოს უნივერსიტეტის

საბიბლიოთეკო ფონდითა და კომპიუტერული ბაზით. კლინიკური სწავლების მიზნებისათვის გამოყენებული იქნება ასევე მიმღები დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (კლინიკური სწავლების შესაბამისი მასალები და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები).

პრაქტიკის გეგმას, პრაქტიკის ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით, შეიმუშავებს პრაქტიკის ხელმძღვანელი, პრაქტიკის კოორდინატორთან შეთანხმებით.

პროფესიულ პრაქტიკის შესაფასებლად უსდ-ის მიერ გამოიყენება სილაბუსით გათვალისწინებული ადეკვატური შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები.

პროფესიულ პრაქტიკას სტუდენტი გადის უნივერსიტეტის პარტნიორ დაწესებულებებში, რომლებთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები ან ხელშეკრულებები ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად უსდ-ის მიერ შერჩეულია პროგრამის მიზნებისა და სამართლის სფეროსათვის რელევანტური 30-მდე პარტნიორი ორგანიზაცია, მათ შორის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისის სააპელაციო სასამართლო, ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, რუსთავის საქალაქო სასამართლო, საქართველოს ნოტარიუსთა პალატა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიცია, სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიურო, სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო, სსიპ - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, Amtsgericht Bremen (Germany), სს „სილქნეტი“, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ქალაქ რუსთავის მერია, ა(ა)იპ - სამართლებრივი დახმარებისა და საზოგადოებრივი ჩართულობის მუნიციპალური ცენტრი - „ჩემი ადვოკატი, ა(ა)იპ - საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია, ა(ა)იპ კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი, საადვოკატო ბიურო - „OK&CG“, შპს „ნათია ქაჯაიას საადვოკატო ოფისი“, ა(ა)იპ - ინოვაციების განვითარების ფონდი, ა(ა)იპ - სოციალურ კულტურული განვითარების ცენტრი, შპს „ადვოკო კონსალტინგი“, ა(ა)იპ - კონსტიტუციურ-სამართლებრივ საკითხთა კვლევის ჯგუფი.

პარტნიორ ორგანიზაციებთან (დამსაქმებლებთან) უსდ-ის თანამშრომლობის პირობები განსაზღვრულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით და ხელშეკრულებებით, რომელთა უმრავლესობა განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. პარტნიორ ორგანიზაციებთან (დამსაქმებლებთან) დადებული მემორანდუმი და ხელშეკრულებები აღწერენ მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, თუმცა რიგ შემთხვევებში აღნიშნული დოკუმენტებით არ არის განსაზღვრული პრაქტიკის ობიექტზე მისაღებ სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობა.

რეკომენდებულია, უსდ-ის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებთან (დამსაქმებლებთან) დადებული ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტი დეტალურად აღწერდეს როგორც

მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, ასევე, პრაქტიკის ობიექტზე მისაღებ სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას, პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებისა და სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნათა შესაბამისად.

ამრიგად, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის მოდელის შემთხვევაში სტუდენტი, სასწავლო კურსებში ჩაშენებული პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში, ჩართულია პრაქტიკულ აქტივობებში პროგრამაზე სწავლის პირველივე ეტაპიდან, ხოლო პროფესიული პრაქტიკის სავალდებულო კომპონენტი და პრაქტიკის არჩევითი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს მას დამამთავრებელ ეტაპზე მოახდინოს პროგრამაზე სწავლის სხვადასხვა ეტაპზე მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის, უნარების შეჯამება, გაანალიზება, თვითშეფასება და რეფლექსია კერძო, საჯარო ან სისხლის სამართლის მიმართულებით.

სასწავლო-კვლევითი და კომუნიკაციური უნარების განსავითარებლად სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სწავლების სფეროს თითქმის ყველა სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, სტუდენტის მიერ ინდივიდუალური წერითი საშინაო დავალების შესრულებასა და მათ პრეზენტაციას. ამ მიზნით სტუდენტი მოიძიებს საჭირო ინფორმაციას, მათ შორის საკანონმდებლო ცვლილებებს, სასამართლო პრაქტიკას, მეცნიერების სიახლეებს, ანალიზებს სამართლებრივ პრობლემებს, ავითარებს მათი გადაწყვეტის გზებს და განახლებული ცოდნის საფუძველზე, იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით, ასაბუთებს საკუთარ პოზიციებს წერითი ფორმით.

საბაკალავრო ნაშრომი (10 ECTS) სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კომპონენტია. საბაკალავრო ნაშრომი უნდა შეასრულოს და დაიცვას სტუდენტმა საბაკალავრო პროგრამის დამამთავრებელ (მე-8) სემესტრში. საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს. საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს ერთგვარ შემაჯამებელ სამუშაოს, რითაც მოწმდება სამართლის სფეროში სტუდენტის არგუმენტაციისა და ანალიზის უნარი, ასევე პრობლემების ხედვის თუ შეფასების შესაძლებლობები.

საბაკალავრო ნაშრომის კომპონენტზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მას დაგროვილი აქვს მინიმუმ 180 კრედიტი.

საბაკალავრო ნაშრომის თემატიკის ჩამონათვალს ადგენს საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი. საბაკალავრო ნაშრომის თემის სათაურისა და თემის ხელმძღვანელის დამტკიცების თაობაზე სტუდენტი განცხადებით მიმართავს ფაკულტეტის დეკანს. დეკანის მიერ საბაკალავრო ნაშრომის თემის დამტკიცების შემდეგ სტუდენტი ხელმძღვანელთან ერთად იწყებს ნაშრომზე მუშაობას.

საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალი (პროფესორი,

ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორი) ან მოწვეული სპეციალისტი, რომელსაც აქვს სამართლის სფეროში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები.

საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობა მიმდინარეობს ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევისა (30 სთ.) და სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატში (220 სთ.).

საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი ეხმარება სტუდენტს საბაკალავრო ნაშრომის გეგმის შედგენაში, ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში და ყოველკვირეულად ზედამხედველობს საბაკალავრო ნაშრომის შესრულების პროცესს.

საბაკალავრო ნაშრომის დაცვა წარმოებს დასკვნით ზეპირ გამოცდაზე საჯაროდ. საბაკალავრო ნაშრომის დაცვის პროცესი ითვალისწინებს სტუდენტის მიერ საბაკალავრო ნაშრომის პრეზენტაციას, კითხვა-პასუხს და საგამოცდო კომისიის დასკვნას.

საბაკალავრო ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა განსაზღვრულია უსდ-ის მიერ შემუშავებული „საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესით“.

საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100-ქულიანი სისტემით, რომელიც მოიცავს შუალედურ შეფასებას (60 ქულა) და დასკვნით შეფასებას (40 ქულა). საბაკალავრო ნაშრომის შუალედურ შეფასებას ახორციელებს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი, ხოლო დასკვნით შეფასებას - საბაკალავრო ნაშრომის დაცვის საგამოცდო კომისია, დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 16 იანვრის N02-2020 დადგენილებით დამტკიცებული „აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის, პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების წესი“-ს თანახმად, ყველა საბაკალავრო ნაშრომი სავალდებულო წესით მოწმდება ანტიპლაგიატის ელექტრონულ პროგრამაში. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის (პლაგიატი) გამოვლენის შემთხვევაში საბაკალავრო ნაშრომი არ ფასდება და სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა ნაშრომი წარმოადგინოს შემდეგ სემესტრში.

სასწავლო-კვლევითი და კომუნიკაციური უნარების შესაფასებლად გამოიყენება სილაბუსით გათვალისწინებული ადეკვატური შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- უსდ-ის მიერ შემუშავებული „საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი“;
- პროფესიული პრაქტიკის სილაბუსი;
- შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 16 იანვრის N02-2020 დადგენილებით დამტკიცებული „აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის, პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების წესი“; <http://www.thu.edu.ge/img/dxp/akademiuri-keTilsindisierebis-dacvis.-plagiatis-preveniis.-aRmoCenisa-da-reagirebis-wesi-60ed31ea569bc.pdf>

- უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ხელშეკრულებები და მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან. <http://www.thu.edu.ge/ka/content/69/347/466/0/0/0>

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უსდ-ის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებთან (დამსაქმებლებთან) დადებული ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტი დეტალურად აღწერდეს როგორც მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, ასევე, პრაქტიკის ობიექტზე მისაღებ სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას, პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებისა და სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნათა შესაბამისად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რომლებიც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება და ამ უკანასკნელის ინტერესებსა და მოთხოვნილებებს ითვალისწინებს.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლა-სწავლების მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარების გამომუშავებაზეც.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეესაბამება საბაკალავრო საფეხურს, სასწავლო კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლება-სწავლის მეთოდების შერჩევასა გათვალისწინებულია სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება შეეძლება სტუდენტს.

შესაბამისად, სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს არა მხოლოდ კონკრეტული მასალის ათვისებას, არამედ ზოგადი/დარგობრივი უნარების განვითარებასაც.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორებიცაა:

- ლექცია;
- პრაქტიკული მუშაობა (სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, სასწავლო პრაქტიკა);
- ელექტრონული სწავლება (ელექტრონული რესურსით სწავლება);
- სხვა.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები მოიცავს მრავალფეროვან და თანამედროვე აქტივობებს. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა სწავლება-სწავლის პროცესში ითვალისწინებს ისეთი აქტივობების გამოყენებას, როგორიცაა: დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (collaborative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, დედუქცია, ინდუქცია, ანალიზი, გონებრივი იერიში, შემთხვევების ანალიზი (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) და სხვა.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე აქტივობას ან ნებისმიერ სხვა აქტივობას კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, სწავლის პროცესში, როგორც წესი, გამოიყენება მეთოდების კომბინაცია. სასწავლო პროცესში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები მიმართულია სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიური მონაწილეობის სტიმულირებაზე, სტუდენტთა ინტერესებისა და მოთხოვნილებების მაქსიმალურად გათვალისწინებაზე, სტუდენტის მიერ არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევაზე.

საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სასწავლო კურსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო ყველა სასწავლო კურსით/კომპონენტით გამოყენებული მეთოდების ერთობლიობა - საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

საჭიროების შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოიყენება სტუდენტთან ინდივიდუალური მიდგომები და აკადემიური მოსწრების შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცედურა განსაზღვრულია შპს - თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიით“, რომელიც დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 9 მარტის N4 დადგენილებით.

სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსი ითვალისწინებს ყოველკვირეულ დამატებით კონსულტაციებს სასწავლო კურსის განმახორციელებელთან. საკონსულტაციო შეხვედრების შესახებ ინფორმაცია მითითებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში, რომელიც საჯარო და ხელმისაწვდომია სტუდენტისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით, სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები;
- შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 9 მარტის N4 დადგენილებით დამტკიცებული „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია“ <http://www.thu.edu.ge/img/dxp/individualuri-saswavlo-gegmis-SemuSavebis-meTodologia-60ed29dda0636.pdf>

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემას. სტუდენტების ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებას, რაც დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამით და სასწავლო კურსის სილაბუსებით.

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში მოიცავს შუალედურ (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების კომპონენტები) მოიცავს შეფასების მეთოდებს ანუ სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელ საშუალებებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, პროექტი, ტესტი, ესე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული ან თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდის საზომად სასწავლო კურსის სილაბუსებით გამოიყენება შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმები, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

სასწავლო კურსის სპეციფიკისა და სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების გათვალისწინებით უსდ-ის აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ გამოიყენება განსხვავებული შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, რომლებიც დეტალურადაა გაწერილი სასწავლო კურსის სილაბუსებში. მაგალითად, სასწავლო კურსებში სტუდენტის პრაქტიკული უნარების შეფასების მიზნით გამოყენებულია შეფასების ისეთი მეთოდები, როგორცაა იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა, პრაქტიკული დავალების შესრულება და ა.შ., კომუნიკაციის უნარების შეფასების მიზნით გამოყენებულია შეფასების ისეთი მეთოდები, როგორცაა საშინაო დავალების პრეზენტაცია, დისკუსიაში მონაწილეობა და ა.შ.

მთლიანობაში, სტუდენტთა შეფასება არის მრავალმეთოდიანი და უზრუნველყოფს თითოეული სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი შეფასების კრიტერიუმების გამოყენებით.

შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები სტუდენტებისათვის გასაგებად

არის ასახული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში.

შეფასების თითოეულ კომპონენტს (შუალედური და დასკვნითი შეფასება) შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს რაოდენობრივი მაჩვენებელი (გამოსახული ქულებში) საბოლოო შეფასებაში, რაც ასახულია კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსებში.

შეფასების თითოეულ კომპონენტში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ასახულია კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსებში. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტის შუალედური შეფასებაა 70 ქულა, შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 26 ქულას, ხოლო თუ სტუდენტის შუალედური შეფასებაა 60 ქულა, შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 21 ქულას. ამასთან, თუ სტუდენტის დასკვნითი შეფასებაა 30 ქულა, დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 15 ქულას, ხოლო თუ სტუდენტის დასკვნითი შეფასებაა 40 ქულა, დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 20 ქულას.

საგანმანათლებლო პროგრამის თანახმად, დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი კომპონენტის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება თითოეულ შეფასების კომპონენტში განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვრების გადალახვისა და ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება სრულდება იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა.

სასწავლო კურსი ჩაბარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ შუალედური შეფასებისა და დასკვნითი შეფასების მაქსიმალური ქულის, მათ შორის, შუალედურ და დასკვნით შეფასებებებში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გათვალისწინებით სტუდენტი დააგროვებს მინიმუმ 51 ქულას. სტუდენტს კრედიტი ენიჭება კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- (C) კარგი – 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში, ინიშნება დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

უმალეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედებს სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების გასაჩივრების წესი, რომელიც რეგულირდება შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 9 იანვრის N01-2020 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-თ.

უსდ-ში არსებობს მიღებული შეფასების გასაჩივრების 2 ეტაპი:

- ლექტორთან მიმართვის საფუძველზე ნაშრომის თავიდან გასწორება;
- სააპელაციო საჩივრის კომისიის მიერ განხილვა.

ლექტორთან მიმართვის საფუძველზე ნაშრომის თავიდან გასწორება: შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე მიღებული შეფასება სტუდენტის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს შეფასების თაობაზე ინფორმაციის მიღებიდან 48 საათში სტუდენტის პერსონალური გვერდის გამოყენებით ელექტრონულად ან ფაკულტეტის სასწავლო პროცესის კოორდინატორთან შესაბამისი წერილობითი განცხადების შეტანის გზით.

ფაკულტეტი სტუდენტის მოთხოვნისთანავე ვალდებულია შუალედურ ან/და დასკვნით შეფასებაზე დაუთანხმებლობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მიმართვიდან 24 საათისა, უზრუნველყოს სტუდენტისათვის მის მიერ შესრულებული და ლექტორის მიერ გასწორებული ნაშრომის გაცნობა.

სტუდენტის საჩივარი რეაგირებისათვის გადაეცემა სასწავლო დისციპლინის წამყვან ლექტორს (გამსწორებელს) განსახილველად საჩივრის მიღებიდან 24 საათის განმავლობაში. გამსწორებელი ვალდებულია საჩივრის მიღებიდან მომდევნო 24 საათის განმავლობაში განიხილოს საჩივარი და საგამოცდო ნაშრომის ხელმეორედ შემოწმების გზით მიიღოს შემდეგი ერთ-ერთი გადაწყვეტილება:

- საჩივარი არ დააკმაყოფილოს;
- საჩივარი დააკმაყოფილოს სრულად (აამაღლოს ქულა, მოთხოვნილი ოდენობით);

- საჩივარი დააკმაყოფილოს ნაწილობრივ (ამაღლოს ქულა ნაწილობრივ);

სააპელაციო საჩივრის კომისიის მიერ განხილვა: იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი არ ეთანხმება გამსწორებელი ლექტორის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, უფლებამოსილია დაწეროს სააპელაციო საჩივარი. სააპელაციო საჩივარის მიღებიდან 24 საათის განმავლობაში ფაკულტეტის დეკანი ქმნის სააპელაციო საჩივრის განმხილველ კომისიას არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით, რომელთაგან ერთი - თავად გამსწორებელი ლექტორია, ხოლო სააპელაციო კომისიის თავმჯდომარე თანამდებობრივად შეიძლება იყოს: ფაკულტეტის დეკანი, დეკანის მოადგილე, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. სააპელაციო კომისიის მესამე წევრი აუცილებლად უნდა იყოს იმ პროფილის სპეციალისტი, რა პროფილის საგანშიც გასაჩივრებულია შუალედური/დასკვნითი შეფასება; სააპელაციო კომისია ზემოთ განსაზღვრულ ერთ-ერთ გადაწყვეტილებას ღებულობს ხმათა უმრავლესობით, 48 საათის განმავლობაში. კენჭისყრისას კომისიის არც ერთ წევრს არ აქვს თავის შეკავების უფლება. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და აღარ საჩივრდება. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება სტუდენტს ეცნობება სტუდენტის პერსონალური გვერდის მეშვეობით ელექტრონულად, ხოლო თუ იგი ესწრება სააპელაციო კომისიის სხდომას, სააპელაციო კომისიის სხდომაზე, გამოცხადებით. გამოცხადებული გადაწყვეტილება აისახება საგამოცდო უწყისში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით, სილაბუსებით გათვალისწინებული შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები;
- შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 9 იანვრის N01-2020 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ <http://www.thu.edu.ge/img/dxp/saswavlo-procesis-maregulirebeli-wesi---60f591f41807c.pdf>
- უდ-ის ვებგვერდი: <http://www.thu.edu.ge/ka>

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი. უნივერსიტეტში დასაქმებულია 12 აკადემიური პერსონალი, აქედან 6 პროფესორი, 5 ასოცირებული პროფესორი და 1 ასისტენტ-პროფესორი.

უნივერსიტეტში 7 აფილირებული აკადემიური პერსონალიდან, 4 არის აფილირებული პროფესორი, 2 აფილირებული ასოცირებული პროფესორი, 1 აფილირებული ასისტენტ-პროფესორი. უნივერსიტეტში საქმიანობს 10 მოწვეული პერსონალი.

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან დასტურდება, რომ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათზე დაკისრებულ ფუნქციებთან. პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. აკადემიური და მოწვეული პერსონალი აკმაყოფილებს პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ კვალიფიკაციას. კერძოდ, პერსონალის განათლება და აკადემიური საქმიანობის გამოცდილება შესაძლებელს ხდის სამართლის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. აღსანიშნავია, რომ აკადემიური პერსონალი ეწევა სამეცნიერო საქმიანობას, რაც დასტურდება მათ მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციებითა და სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობაში მონაწილეობით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელდა აკადემიური/მოწვეული პერსონალის განახლება.

ამასთან, პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი კვალიფიკაცია, რაც დასტურდება განათლებით, აკადემიური საქმიანობის გამოცდილებითა და სამეცნიერო ნაშრომებით.

აღნიშნული სტანდარტი შესაბამისობაშია კანონის მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

თვითშეფასების ანგარიში;
აკადემიური და მოწვეული პერსონალის ბიოგრაფიები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, საფეხური:

სამართლის საბაკალავრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა:

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა (4.1 ადამიანური რესურსი)	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

მავა კარტოზია

მ. კახიკორიძე

ავრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ზვიად როგავა

